

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

14.05.2018წ.

№69

**შინაარსი:** შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწვევის აკრძალვის, თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით ჩადენილი სამართალდარღვევებზე რეაგირების და პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18, 23-ე და 24-ე მუხლების, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-10 მუხლის, შპს ბუსსს ანრის სენატის სხდომის 2018 წლის 14 მაისის დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

§1

დამტკიცდეს შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწვევის აკრძალვის, თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით ჩადენილი სამართალდარღვევებზე რეაგირების და პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის წესი დანართი N1-ის შესაბამისად.

§2

ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შპს ბუსსს ანრის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს საინფორმაციო დაფებსა და სასწავლებლის ვებგვერდზე.

§3

ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 15 მაისიდან.

**საფუძველი:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი, 2018 წლის 14 მაისის შპს ბუსსს ანრის სენატის სხდომის ოქმი N12, ჩემი განკარგულება.

გენერალური დირექტორი



ა.დიასამიძე

**ბრძანების პროექტი მოამზადა:** კადრების ინსპექტორი მ.დუმბაძე

**ბრძანება დაეგზავნოს:** ბუღალტერიას -1ეგზ, კანცელარიას -1ეგზ, სასწავლო განყოფილება -1ეგზ.



წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18, 23-ე და 24-ე მუხლების, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-10 მუხლის, შპს ბუსსს ანრის სენატის სხდომის 2018 წლის 14 მაისის დადგენილების საფუძველზე. დამტკიცებულია შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი/რექტორის 2018 წლის 14 მაისის N69 ბრძანებით.

**შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწვევის აკრძალვის, თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით ჩადენილი სამართალდარღვევებზე რეაგირების და პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის წესი**

წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18, 23-ე და 24-ე მუხლების, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-10 მუხლის, შპს ბუსსს ანრის სენატის სხდომის 2018 წლის 14 მაისის დადგენილების საფუძველზე.

**მუხლი 1.**

- ა) თამბაქოს მოწვევა აკრძალულია შპს ბუსსს ანრის კუთვნილ/ბალანსზე/სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში და ტერიტორიაზე (მათ შორის ეზოში).
- ბ) შპს ბუსსს ანრის კუთვნილ/ბალანსზე/სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობის ყველა სართულზე (დერეფნებში), მისაღებში, ეზოში და სხვა თვალსაჩინო ადგილებზე განთავსდეს შესაბამისი აკრძალვის აბრები (რომელზეც მოწვევის აკრძალვის ნიშანთან ერთად დატანილ იქნეს ინფორმაცია მოწვევისთვის დაწესებული სანქციების შესახებ და წარწერა: „მოწვევის შეწყვეტისთვის დარეკეთ 116001, ზარი უფასო“), რომლის უზრუნველყოფაც დაევალოს შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილებას.

**მუხლი 2.**

შპს ბუსსს ანრის პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები/მასწავლებლები, სტუდენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, სასწავლებლის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელები (შემდეგში მსმენელები) და შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე შემომსვლელი სხვა პირები ვალდებული არიან დაემორჩილონ შპს ბუსსს ანრის თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებით არსებულ წინამდებარე წესს.

**მუხლი 3.**

შპს ბუსსს ანრის პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების/მასწავლებლების მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

- ა) სამართალდარღვევის ჩადენის პირველი შემთხვევისთვის შენიშვნას;
- ბ) ოთხი თვის განმავლობაში იმავე პირის მიერ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში მის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით;
- გ) წლის განმავლობაში იმავე პირის მიერ სამართალდარღვევის მესამედ ჩადენის შემთხვევაში მის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით;
- დ) წლის განმავლობაში იმავე პირის მიერ სამართალდარღვევის მეოთხედ ჩადენის შემთხვევაში მასთან არსებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

**მუხლი 4.**

შპს ბუსსს ანრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მოკლევადიანი მოსამზადებელი კურსების მსმენელების მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

- ა) შენიშვნა;

- ბ) ჯარიმა 20 ლარის ოდენობით (შენიშვნიდან 4 თვის განმავლობაში სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
- გ) ჯარიმა 40 ლარის ოდენობით (20 ლარით დაჯარიმებიდან 4 თვის განმავლობაში სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
- დ) გაფრთხილება (40 ლარით დაჯარიმებიდან 4 თვის განმავლობაში სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
- ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა (გაფრთხილებიდან 4 თვის განმავლობაში სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

დაჯარიმების შესახებ აქტის აღსრულება მოხდება ამ მუხლის სუბიექტთა (გარდა შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე შემომსვლელი სხვა პირებისა) მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან შესაბამისი საჯარიმო თანხის დაქვითვით.

შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე შემომსვლელი სხვა პირების მიერ წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში შპს ბუსსს ანრის მიერ ამ წესის შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირი/პირები ვალდებული არიან სამართალდამრღვევებს მოუწოდონ სამართალდარღვევის შეწყვეტისკენ და გააფრთხილონ საპატრულო პოლიციის შესაძლო გამოძახების შესახებ. სამართალდამრღვევის მხრიდან სამართალდარღვევის კვლავ გაგრძელების შემთხვევაში ზემოთაღნიშნული პირები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამოიძახონ საპატრულო პოლიცია.

#### **მუხლი 5.**

ფინანსური დავალიანების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი და წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მოკლევადიანი მოსამზადებელი კურსების მსმენელი არ დაიშვება შუალედურ, დასკვნით გამოცდაზე, შეფასების, ტესტირებაზე, რომელზეც კონტროლიც ეკისრება სასწავლო განყოფილების უფროსს და წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსს.

#### **მუხლი 6.**

სამართალდამრღვევი, რომელზედაც შესაძლებელია გავრცელდეს როგორც ამ წესის მე-3, ისე მე-4 მუხლის რეგულაციები პასუხს აგებს მე-3 მუხლის შესაბამისად.

#### **მუხლი 7.**

სამართალდამრღვევის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს/დაწესებულების მიერ შპს ბუსსს ანრის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ეკისრება შესაბამის სამართალდამრღვევს, რომლის აღსრულებაც მოხდება სამართალდამრღვევის ხელფასიდან ან სწავლის საფასურიდან ან სხვა ქონებიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 8.**

- ა) წინამდებარე წესის შესრულების კონტროლს ახორციელებს შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილება, შპს ბუსსს ანრის დაცვის სამსახური, ხოლო შპს ბუსსს ანრის სტრუქტურული ერთეულის ოფისებში/კაბინეტებში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.
- ბ) ამ წესის დარღვევის ფაქტზე სამართალდარღვევის ოქმს ადგენს შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ხოლო შპს ბუსსს ანრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ სავარაუდო სამართალდარღვევის გამოვლენისას, აღნიშნული პირი სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მაგივრად ამ წესით განსაზღვრული შემდგომი რეაგირების მიზნით მომხდარი ფაქტის შესახებ ატყობინებს შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს.
- გ) სამართალდარღვევის ოქმში უნდა მიეთითოს დამრღვევი პირის ვინაობა, სამართალდარღვევის თარიღი და დრო, სამართალდარღვევის არსი და ამ წესის შესაბამისი მუხლი რომელიც დაირღვა, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და ოქმის შემდგენი პირის ვინაობა. შესაძლებელია ოქმის შედგენის მაგივრად სასწავლებლის ხელმძღვანელის სახელზე დაიწეროს მოხსენებითი ბარათი თუკი სამართალდარღვევა დაფიქსირებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის საშუალებით, სადაც მიეთითება ვიდეო

სამეთვალყურეო სისტემის საშუალებით განხორციელებული იმ ვიდეო ჩანაწერის ზუსტი დრო და თარიღი, რომელზედაც ასახულია სამართალდარღვევა.

- დ) ამ მუხლით ოქმის/მოხსენებითი ბარათის შედგენაზე უფლებამოსილ პირს სამართალდამრღვევის ვინაობის დასადგენად შეუძლია ნებისმიერ სამართალდამრღვევს მოთხოვოს მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის წარდგენა (დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში მოითხოვოს მისგან სახელის, გვარის და სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის დასახელება და გადამოწმებამდე მოთხოვოს მას ადგილზე დარჩენა). წინააღმდეგ შემთხვევაში იმახენს შპს ბუსსს ანრის დაცვის სამსახურის თანამშრომელს (სამართალდამრღვევის ადგილზე დროებით დასაკავებლად საპატრულო პოლიციის მოსვლამდე) და საპატრულო პოლიციას შემდგომი რეაგირების მიზნით.

#### მუხლი 9.

- ა) წინამდებარე წესის შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი/პირები მე-8 მუხლით განსაზღვრულ ოქმს/მოხსენებით ბარათს სამართალდარღვევის გამოვლენიდან 2 დღის ვადაში შემდგომი რეაგირების მიზნით გადასცემენ შპს ბუსსს ანრის ხელმძღვანელს, რომელიც ოქმის/მოხსენებითი ბარათის გადაცემიდან 5 დღის ვადაში იღებს ამ წესის დარღვევისთვის გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას ამავე წესით განსაზღვრულ ფარგლებში და მიღებულ გადაწყვეტილებას აღსრულებისთვის 24 საათის განმავლობაში უგზავნის მას შპს ბუსსს ანრის შესაბამისი სამსახურს/ებს.
- ბ) სამართალდამრღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას მისთვის ხელფასიდან ან/და გადახდილი სწავლის საფასურიდან დაქვითვას/ჩამოჭრას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით გადაწყვეტილების გამოტანიდან 48 საათში ახორციელებს შპს ბუსსს ანრის შესაბამისი სამსახური.

#### მუხლი 10.

სასწავლებლის ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი შენიშვნის/ხელფასის დაქვითვის/ჯარიმის დაკისრების შესახებ სამართალდამრღვევის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. 30 მისთვის აქტის ჩაბარებიდან ან სხვაგვარად შეტყობინებიდან (მათ შორის ელექტრონული ფოსტით ან/და ბუსსს-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით) 1 თვის ვადაში.

#### მუხლი 11.

აღნიშნული წესი ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 მაისიდან.

შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესისა და ვაბტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი დავით ჩხაიძე



14.05.2018წ.